15-ს ნოემბერს. № 22. 1885 წელს.

# მწყემსი

სასულიერო მთავრობის განკარგულებანი.

## საქართველოს ექსარხოსის მიწერილობა (отношеніе) ამავე საექსარხოსოის მღვდელთ-მთავრებისადმი 15 ოკდომბერს 1885 წ.

ოცი წელიწადი მეტია მას აქეთ, რაც უმაღლესი მწყალობით კავკასიაში დაარსდა მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. მიზანი ამ საზოგადოების დაარსებისა არის წმიდათ სარწმუნოებრივი: გავრცელება მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა მთიულ თემთა შორის, რომელნიც ერთ დროს ეკუთნოდენ მართლ-მადიდებელ ეკკლესიას, მაგრამ უბედურ პოლიტიკურ გარემოებათა გამო მაჰმადის სარწმუნოებას მიეცნენ. ამ საგნის მიმდევარმა საზოგადოებამ არსებით სარგებლობა მოუტანა მართლ-მადიდებელ სარწმუნოების საქმეს. მის მოქმედებას ვრცელი წრე ეჭირა: იგი აგზავნიდა მისიონრებს სხვა-და-სხვა ადგილებში, ხსნიდა მართლ-მადიდებელ სამრევლოებს, მართავდა მათში სკოლებს, აშენებდა ეკკლესიებს, ინახავდა სამღვდელოებას და მასწავლებელთ, ამზადებდა მომავალ მისიონრებს, ავრცელებდა წიგნებს სარწმუნოებრივი შინაარსით და სხვ. ესრეთი მოქმედების მეოხებით მართლ-მადიდებელი სარწმუნოების სხივნი ხელ-ახლავ გაბრწყინდნენ თვით მათთა წვერვალოებზე და მათ ხეობებშიაც; ხალხი შეუდგა თავის ველურ მდგომარეობიდამ გამოსვლას; მასში იწყეს გაღვიძება სამართლიანობის და წესიერების გრძნობებმა, პიროვნების და საკუთრების უფლებისადმი პატივისცემამ; მათ ჩვეულებათ დაემჩნათ ცოტა-ცოტათ გაუმჯობესობა, ზნეთა სირბილე, გრძნობათა გაკეთილშობილება, აზრთა ამაღლება. სამწუხაროდ, საზოგადოების კეთილ-ნაყოფიერი მოქმედება უკანასკნელ დროს შესწყვიტა მისმა ფინანსიურმა უღონობამ დიდ ძალი ფულების დახარჯვისა გამო ყარაიას, მისდამი კუთვნილის, ველის მოსარწყავად. პირველი ხანა ამ საზოგადოების არსებობისა გათავდა ყარაიას ველის დაბრუნებით მთავრობისადმი, რომელმაც გადაიხადა საზოგადოების ვალები და დაადგინა დანიშნოდა საზოგადოებას ყარაიას ველისათვის შემწეობა. ამასთან ერთად საზოგადოება შეყვანილია უწმიდესის სინოდის გამგეობაში და რწმუნებულია საქართველოს ექსარხოსის უმახლობელეს ხელ-მძღვანელობაში.

თავის ახალს მდგომარეობაში საზოგადოება შეუცვლელად იცავს სრულ თავის ძალაში მთელს პირველ დაწყებითს მნიშვნელობით საგანთა — აღდგინება მთიულ გარეშე თემთა შორის მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა მებრ რჩება შეუცვლელად. საგანი დიდია, ითხოვს დიდ-ძალ საშუალებათა და მეცადინეობათა და ღირსია თანაგრძნობისა ყოველი ჭეშმარიტი რუსისა, ჭეშმარიტი მართლ-მადიდებელი ქრისტიანისაგან. სამწუხაროდ, საზოგადოების საშუალებანი, მთავრობის შემწეობაც რომ აქვე მივიღოთ სახეში, არ კმარა ამ საგნის შესასრულებლად. დღეს ეს საშუალებანი ძლივას ჰყოფნიან არსებულ ეკკლესიათა, სამღვდელოების და სკოლების შესანახავად. რაც შეეხება ახალი ეკკლესიების აღშენებას და ან ძველი ეკკლესიების შეკეთებას, შესამოსლებით და სხვა საეკკლესიო ნივთებით მათ მოწყობას, ახალი სკოლების გახსნას, ზოგიერთ მხარეებში განსაკუთრებითი მისიონერების დანიშნვას, ობლების და სამღვდელოების ღარიბ წევრების აღზრდას, საზოგადო სახლების აღშენებას კრებულთათვის და ანუ შეკეთებას, ახალი სამრევლოების გახსნას, ეკკლესიების კრებულთა გამრავლებას,— ყველა ეს აუცილებელი საჭიროებანი საზოგადოებას უნდა დარჩეს დაუკმაყოფილებლად, ეხლანდელი მისი ფულის საშუალება რომ მივიღოთ სახეში. ამიტომ ცხადია, რომ საზოგადოებას ამისთანა მდგომარეობაში არ შეუძლია რიგიანად აღასრულოს თავისი დიდი საგანი, რომელიც სძევს მის დაფუძნებაში. ამ საგნის განხორციელება შეიძლება მხოლოდ დიდ შეწირულებათა წყალობით საზოგადოების სასარგებლოდ და ამ შეწირულებათა საზოგადოება უნდა მოელოდეს მხოლოდ რუსეთის ხალხისაგან, რომლისაგან იგი დავალებულია ყოველივე მით, რაიც გაკეთდა აქამომდე.

ამ საგნის ასასრულებლად მე, როგორც თავსმჯდომარე საზოგადოების რჩევისა, მივმართავ თქვენს დახმარებას. რუსის ხალხი გულმტკივნეულია ყოველი კეთილი საქმისადმი და მის განსახორციელებლად მზა არის შესწიროს, რაც კი შეუძლია თავისი მცირე საშუალებათაგან. თქვენი ყოვლად სამღვდელოება აღმოუჩენთ დიდ სამსახურს მართლ-მადიდებლობას, თუ მიიღებთ თქვენს თავზე შრომას თქვენი პირად ზედმოქმედებით და ყოველი თქვენზე დამოკიდებული ზომებით დაეხმაროთ ეკკლესიის წარმატების თანამგრძნობ პირთა მოწვევას საზოგადოების წევრთა რიცხვში და მათგან სხვა და-სხვა შემოწირულებათა გამოღებას საზოგადოების სასარგებლოდ. ამ საგნის მისაღწევად უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ყოვლად სამღვდელოებავ, რათა ამასთანავე ჩადებული საზოგადოების წესდების ეგზემპლიარები გაავრცელოთ თქვენი შეხედულებისა მებრ. სრული იმედი მაქვს, რომ თქვენი ყოვლად სამღვდელოება არ მოგვაკლებს თავის განათლებულ შემწეობას და თანაგრძნობას კეთილ საქმისადმი.

## ცირკულიარული მიწერილობა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა ბლაღოჩინებისადმი.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველო თავისი ჟურნალური დადგენილობით 10 სეკტემბრიდამ ამა 1885 წლისა მაცნობებს მე, რომ მშობლები კანიკულების გათავების შემდეგ გვიან აგზავნიან თავიანთ შვილებს სასწავლებელში, რის გამო უკანასკნელნი სწავლაში უკან რჩებიან თავიანთ ამხანაგებს და ამით ახდენენ მთელს სასწავლებელში უწესოებას, რომელსაც შეუძლია ცუდად იმოქმედოს სწავლის საქმეზე, განსარინებლად შემდეგი დროისთვის ამისთანა უწესოებებისა, მიუწერ ბლაღოჩინებს ჩემდამო რწმუნებულის იმერეთის ეპარქიისას, რათა გამოუცხადონ მათ თავიანთ მაზრებში მშობელთ, რომელთაც ჰყავთ შვილები ქუთაისის სასწავლებელში, რომ მშობლებმა თავიანთი შვილები გამოგზავნონ სასწავლებელში კანიკულების გათავების შემდეგ და არ დასტოვონ შვილები თავიანთ სახლებში უმიზეზოდ იმ დროზე მეტი, რომელიც დადებულია სასწავლებლის წესდებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაბრთხილებ მათ, რომ თუ კანიკულების და დღესასწაულების შემდეგ მოსწავლენი თავის დროზე არ გამოცხადდებიან სასწავლებელში, მაშინ მომავალი კანიკულების და დღესასწაულების წინ შაგირდები იქნებიან დაკავებულ სასწავლებელში იმდენი დღე, რამდენი დღეც მათ გაუშვეს უმიზეზოთ და გარდა ამისა დაიშტრაფებიან ერთი მანეთით თითოულ გაშვებულ დღეში, ხოლო ერთი კვირის შემდეგ გამოირიცხებიან ისინი სასწავლებლიდამ. ამ ცირკულიარზე არის დასმული რეზოლიუცია მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა: დაიბეჭდოს ქართულად „მწყემს"-ში საყოველთაო საცნობლად და გამოსაცხადებლად.

# მწყემსი

№ 22.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი" რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ"

на 1886 годъ (41-й годъ изданія).

**Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ" будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

| съ доставкою въ Тифлисѣ. | СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ по Имперіи | по почт. союзу |
|---|---|---|
| На годъ. . . 11 р. 50 к. | 13 р. . . . | 18 р. 40 к. |
| » полгода. 6 р. — | 7 р. . . . | 10 р. — » |
| » 3 мѣсяца. 3 р. 50 к. | 4 р. . . . | 6 р. — » |
| » 1 мѣсяцъ. 1 р. 50 к. | 1 р. 75 к. | 2 р. — » |

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова.

Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ".

## პირველი კრება ღვთის მშობლის სახელობაზე დაარსებული ძმობისა თბილისის სიონის სობოროსთან.

[illegible]თს ნოემბერს, პირველს საათზე გაიხსნა სხდომა ახლად დაარსებული „ძმობისა ღვთის-მშობლის სახელობაზე" სიონის სობოროსთან. სხდომა გაიხსნა თვითონ ექსარხოსის სახლის ერთ ზალაში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოსის, საქართველოს ექსარხოსის თავმჯდომარეობით. შეკრებილებას პატივი სცეს თავის დასწრებით მთავარ-მმართებელმა თავადმა დონდუკოვ კორსაკოვმა, კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ, თბილისის გუბერნატორმა გენერალმა გროსმანმა. შეკრებილებაზე დამსწრე პირების რიცხვი იყო ორმოცდა ცამეტი, ნამეტანი რიცხვი დამსწრე პირთა იყო სამღვდელოთაგანი.

გახსნისათანავე კრებისა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომლითაც ყველას შეატყობინა მიზანი ამ დაარსებული «ძმობისა» და დანიშნა რა თავმჯდომარედ ამა ძმობისა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი მამა დეკანოზი პ. ჩუდეცკი,

წინადადება მისცა კრებას, რომ თვის შორის ამოერჩიათ ძმობის გამგეობის წევრნი და მათი კანდიდატები. ამორჩევა მოხდა «ზაპისკებით». ნამეტანი ხმით არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრებად სიონისა კათედრის სობოროს დეკანოზი ი. ელიევი, დეკანოზი ნ. ი. კალისტოვი, მღვდელი შოშიევი, დეისტ. სტ. სოვეტნიკი დ. ზ. ბაქრაძე, დეკანოზი გ. ლ. ხელიძე, დეკანოზი კონჩუევი და მღვდელი კუკიის ალექსანდრე ნევსკის ეკკლესიისა ი. ი. ზვერევი. გამგეობის წევრების კანდიდატებათ იქმნენ არჩეულნი ამ სტრიქონების დამწერი, მღვდელი პეტრიევი და გ. ბარნოვი. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოსის პავლეს წინადადებით იქმნენ არჩეულნი ძმობის საპატიო წევრებად: მისი ბრწყინვალება კნეინა ნ. ა. დონდუკოვ-კორსაკოვისა, გენერალ-ლეიტენანტი ტროცკი, უფროსი თავმჯდომარე თბილისის სასამართლო პალატის ს. ს. გონჩაროვი, დეისტ. სტ. სოვეტნიკი დ. ზ. ბაქრაძე და მღვდელ-მთავარნი: კავკასიის ეპისკოპოსი გერმანე, კამენეც პოდოლსკისა იუსტინე, სტარორუსსკის ვიკარ-ეპისკოპოსი ანასტასი და ნოვგოროდ-სევერსკის ვიკარ-ეპისკოპოსი ათანასე. როდესაც შეიტყო კრებამ საქართველოში ექსარხოსად ყოფილის მიტროპოლიტის ისიდორეს სურვილი ამ ძმობის საპატიო წევრად ყოფნისა, მან არჩია იგი ძმობის საპატიო წევრად. არჩევების შემდეგ რჩევის თავმჯდომარემ დეკანოზმა პავლე ჩუდეცკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც აუხსნა კრებას და განუმარტა დანიშნულება და მნიშვნელობა ღვთის მსახურების გარეშე კითხვისა, სახალხო საკითხავი წიგნთ საცავების გამართვისა და საწყობებისა და სხვათა... კრება გაიხსნა ლოცვით და ლოცვითვე გათავდა.

ამით გათავდა პირველი კრება ამ მშვენიერი და მრავალ მნიშვნელოვანი დაწესებულებისა. დიდი იმედი აქვს ამ «ძმობის» საზოგადოებას. სწორეთ მშვენიერ მოსწრებულ დროს დაარსდა ეს საზოგადოება. სასიხარულოა, რომ ამ ძმობის დაარსების თანა უგრძნეს თავის შეწირულებით ჩვენგან ძლიერ გაშორებით მყოფთ პირთა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჯერ-ჯერობით მახლობელ პირთა კიდევ არ მიუღიათ მონაწილეობა. სამღვდელოებას კაი ხანია დაურიგდა მოწოდება მაღალ ყოვლად სამღვდელო საქართველოს ექსარხოსისა და იმედი გვაქვს, რომ სამღვდელოება გამოიჩენს თავის თანაგრძნობას ამ ძმობისადმი შეძლებისა და გვარად.

## თბილისიდამ.

ოცდა შვიდს ოკტომბერს ქალაქ თბილისში მოხდა კურთხევა მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლის სკოლის ეკკლესიისა. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პავლე მობრძანდა სასწავლებელში დილის 9 საათზე და მაშინათვე მთელის კრებულით შეუდგა საყდრის კურთხევას. ეკკლესიის კურთხევის შემდეგ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი გამობრძანდა ამვონზე და დაიწყო მოძღვრება და სწავლა.

თემად მოძღვრებისა მღვდელ-მთავარს ჰქონდა აღებული სახარების შემდეგი სიტყვები: ხოლო იესო მოუხედა მათ და რქვა, აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგე ვითართა არს სასუფეველი ღვთისა.» ეს სიტყვები ჯერ არ დაესრულებინა ექსარხოსს, რომ მეორე ოთახიდგან ტაძარში შემოვიდნენ სასწავლებლის მოწაფენი და თუმცა ცოტა უდროვოთ იყო მათი შემოსვლა ტაძარში, მაგრამ სახარების სიტყვის მიხედვით, არ დაუშალეს მათ მოსვლა წინაშე ქრისტეს სოფლიურ მოადგილისა, სწავლა-კურთხევის მიღებისათვის. მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ გასაგების ენით და მჭევრ-მეტყველურად განმარტა ძალა სწავლისა და მეცნიერებისა; მნიშვნელობა ტაძრისა და კეთილ ზნეობისა. აუხსნა ყმაწვილებს მნიშვნელობა სახარებისა, ჯვრისა და სხვა სამღვთო ნივთებისა, მდებარეთა ტრაპეზზე და საზოგადოთ საყდარში.

აგრეთვე არ დააგდო განუმარტებლად მირქმი გამომსახველი ხატიც, რადგან ახლად ნაკურთხი ტაძარი იყო სახსრად «მირქმისა» უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თავისი სიტყვა მქადაგებელმა დაასრულა ყრმათა დარიგებით. «მოდით ხოლმე, ძენო, წმიდასა ამა ტაძარსა, რომელიც თუმც პატარაა, მაგრამ დაგიცავთ თქვენ, რომ ყოველთვის მხურვალედ ევედროთ ღმერთსა ჩვენსა და მიიღებდეთ მის სწავლასა. როგორც 40 დღის ქრისტე მიიყვანეს ტაძარში და იგი მას შემდეგ აღიჭურვა სიბრძნითა და კაცთ-მოყვარეობითა, ისრე თქვენ, მოწაფენო, იარეთ ტაძარსა ამას შინა და ისწავეთ სიბრძნე, იყავით კეთილნი, რომ შეყვარებულ იქმნეთ კაცთაგან. როგორც 12 წლის მაცხოვარი მივიდა ტაძარში და დაიწყო საუბარი ბრძენ და განვითარებულ პირებთან, ისრე თქვენც მხოლოდ ისმინეთ სიტყვანი ბრძენთა, მხოლოთ მათთან ისაუბრეთ და სხვა უვარ-

გის პირებთან საქმეს ნუ დაიჭერთ და ნურც გაუგონებთ მათ. ყოველთვის იყავით მორჩილნი და აღმსრულებელნი ნებისა აღმზრდელთა და მშობელთა თქვენთა.» ეს იყო საზოგადოდ შინაარსი ტკბილის და მამა-შვილურის დარიგებისა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსისა.

ამის შემდეგ დაიწყეს წირვა. წირვის დროს ექსარხოსმა ერთი პირი აკურთხა მთავრად და ერთიც მღვდლად. წირვა გათავდა 12 საათის 20 წამზე. ნაწირვებს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ყველა ეკკლესიაში დამსწრენი მიიწვია საუზმეზე, რომელიც სკოლისავე დიდს დარბაზში იყო გამართული.

წირვაზე დამსწრენი იყვნენ: საქართველოს სარდლის, დონდუკოვ-კორსაკოვის მეუღლე, ვიცე-გუბერნატორი შარვაშიძე, სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, თვით ხსენებული სკოლის მასწავლებელნი და სხვანი პატიოსანნი და წარჩინებულნი პირნი.

საუზმის დროს მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ პავლემ პირველი სადღეგრძელო წარმოსთქვა მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა და მთელმა საზოგადოებამ ეს სადღეგრძელო დიდი აღტაცებით და ურას ძახილით მიიღო. მეორე სადღეგრძელო იმანვე წარმოსთქვა მიტროპოლიტის იოანიკესი და თანაც დასძინა, რომ ეს სასკოლო სახლი შესყიდულია მიტროპოლიტის იოანნიკეს მეცადინეობითაო. შემდეგ ღენერალმა შერემეტიევმა, რომელიც დონდუკოვ-კორსაკოვის მაგიერ მობრძანებულიყო ეკკლესიის კურთხევაზე, დალია სადღეგრძელო ექსარხოსისა. დაილია აგრეთვე საქართველოს სამღვდელოების და მათი შვილების სადღეგრძელო (წარმოსთქვა ექსარხოსმა) და ყველა სტუმრებისა. ორი საათის ნახევარზე სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.

ეკკლესიის ყოველ-გვარი მოწყობილება სასწავლებელს დაუჯდა ძალიან იაფად, სულ 60 თუმნად, მაშინ როდესაც ამისთანავე და ამაზედ მდარე მოწყობილება ქ. უ. სასწ. დაუჯდა ერთი ასათ მეტი.

სასწავლებლის ეკკლესიას მრავალთა შემოსწირეს ძვირფასეული შესამოსელი, ხატნი, ჯვარნი და სხვ.

დროებით ამ ეკკლესიის მღვდლად დანიშნულია პ. კარბელოვი.

მოსე ჯანაშვილი.

## სად არიან სვანეთის ეკკლესიების ძვირფასი სამკაულნი?

1864 წლის დამლევამდის მე ვმსახურებდი მღვდლად სვანეთის სოფლის ლატალის მაცხოვრის ეკკლესიაზედ. ამ დროს ჩემდამო რწმუნებულს სამრევლოში იყო ხუთი ეკკლესია. ყველა ეს ეკკლესიები მშვენიერი შენობისა იყვნენ. ამ ეკკლესიებში იყო ბევრი ძვირფასი ხატები და ჯვრები, განსაკუთრებით მაცხოვრის და «იონაშის», ჩვენებურათ იოანნე ნათლის მცემლისა, ეკკლესიებში. ამ ეკკლესიებში ოთხი ეკკლესია იყო სვანების პაპების ხელში. მარტო ჩემს სამრევლოში იმ დროს 36 პაპა იყო. მაცხოვრის ეკკლესია, სადაც მე ვსწირავდი, ადგილობით ბლაღოჩინს და პოლიციას ჩამოერთმიათ პაპებისათვის. ეს ეკკლესია, როგორც მისი შინაგანი მორთულობა გვიმტკიცებს, ოდესმე კათედრის სობოროდ უნდა ყოფილიყო. ამ ეკკლესიაში ყოფილიყო ბევრი ძვირფასი ნივთები მეფეების და დედოფლებისაგან შეწირულნი. როცა ეს ეკკლესია ჩამოერთმიათ პაპებისათვის, პაპებს ყოველივე ძვირფასი ნივთები თან წაეღოთ. რადგან მაშინ ადგილობითი მთავრობა ახალი შემოსული იყო, ძალა ვერ ეხმარა, რომ ეს ნივთები არ მიეცათ პაპებისათვის. ეს ნივთები, როგორც ამბობენ, ხალხს ჩაებარებია ერთი სვანისათვის, რომელიც მთელს სვანეთში იმ დროს უპირატეს პაპად და «მღვდელთ-მთავრად» ირიცხებოდა. ამ პაპას დიდი გავლენა ჰქონდა სვანებზე. მას სვანები ისე უყურებდნენ, ვითომ ის მუდამ ემუსაიფებოდა ღმერთს და მასთან ხშირად სადილობდა და საუზმობდა ხოლმე. ამ პაპის შეგონებით სვანები ფიქრობდენ, რომ მათი ღმერთი სხვა იყო და რუსების სხვა. მე ძალიან მინდოდა, რომ მენახა ჩემდამო რწმუნებული ეკკლესიიდამ მოტაცებული ძვირფასი ნივთები და ამიტომ დაუახლოვდი ამ პაპას და, როცა გავეცანი, ვსთხოვე მას, რომ ის ძვირფასი ნივთები, რომელნიც მას ჩაბარებული ჰქონდა, ენახვებინა ჩემთვის. პირველად უარი მითხრა, მაგრამ დიდი თხოვნის შემდეგ თავის შვილს უბრძანა კიდობნის გამოტანა; თვითონ შორი-ახლო დაბრძანდა. ორი კაცი თოფით დააყენა ჩემს სიახლოვეს და მერე ბრძანა, რომ კიდობანი გაეღოთ და თითოეული ნივთი ეჩვენებინათ ჩემთვის. პაპის ბრძანებისამებრ გააღეს კიდობანი; იქიდგან ამოიღეს ბევრი ვერცხლის ძვირფასი ნივთები: სურები, აზარფეშები, ბადიები, დოქები და ერთი ვერცხლის ჩაფის ნახევარი. ყველა ეს ნივთები თითქმის სამი ფუთის წონა იქნე-

ბოდა. ამ ძვირფას ნივთებზე წარწერები ვნახე: მე მინდოდა ეს წარწერანი გადმომეღო, მაგრამ ნება არ მომცა ჰაჰამ. იმ დროს ბევრი ამისთანა ნივთები მოინახებოდნენ სვანეთის ეკკლესიებში, მაგრამ ჩვენ მღვდლებს არ ანებებდნენ ჰაჰები და ამ გვარად ეს ნივთები მათ დარჩათ.

რადგან ეს ნივთები ეკუთნოდენ ეკკლესიებს, ძალიან კარგი იქნება, რომ სასულიერო და საეროციელო მთავრობამ მიაქციონ ამ საქმეს ყურადღება და მოძებნონ ეს ნივთები. თუ კაცი ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევს; არ შეიძლება, რომ ზოგი ამ ნივთებთაგანი მაინც არ აღმოჩნდეს. ერთი, რომ ეს ნივთები საჭირონი არიან ეკკლესიებისათვის და მეორე მათზე წარწერანი საჭირო იქნება ჩვენთვის როგორც საისტორიო მასალა. ამ საქმეში დიდ შემწეობას აღმოუჩენენ მთავრობას ის ახალ-გაზდა სვანები, რომელთაც განათლება მიუღიათ. მათ უფრო ენდობიან სვანები და მათ უჩვენებენ, თუ რომელი ნივთი ეკკლესიისა ვის აქვს. თუ პატრონები ამ ნივთებს არ დაანებებენ მათ, მაშინ შეიძლება წარწერანი მაინც გადმოიღონ.

მღვ. ალექსანდრე არდიშვილი.

---

## წერილი რედაქტორთან.

ბატ. რედაქტორო! თქვენის გაზეთის «მწყემსის» მე 12 ნომერში იწერებით: «რაჭის ერთს საბლაღოჩინოში, როგორც გვაცნობებენ, ეკკლესიებიდამ ბლაღოჩინის ჯამაგირათ ხუთ-ხუთ მანეთს კრებენო; საყურადღებოა შევიტყოთ, თუ რითი დაიმსახურა ამ ბლაღოჩინმა ყველა ბლაღოჩინებზე ამისთანა უპირატესობა.»

რაჭის მაზრაში ჩემ გარდა სამი ბლაღოჩინია, ამიტომ მე მეგონა, რომ ამ სამ ბლაღოჩინში ერთს რომელსამე მართლა ეძლეოდა ხუთ-ხუთი მანეთი თითოეულის ეკკლესიიდამ და ამის პასუხს უცდიდი აქომამდე. მაგრამ გადის თითქმის ორი თვე, პასუხი არსაიდამ ისმის; ეხლა კი მივხდი, რომ მე შემეხება ამ თქვენს კითხვაზედ პასუხის მოცემა და აი გაძლევთ პასუხს:

სადმელის საბლაღოჩინო მაზრაში 1880 წ. დაიცალა ბლაღოჩინის თანამდებობის ადგილი, რომლის აღსრულება მე მომანდო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა. გავიდა წელიწადზედ მეტი, ამ ვალდებულებას ვასრულებდი და შემდეგ მისს ყოვლად უსამღვდელოესობას მივართვი რაპორტი, რომელშიაც აღვსწერე სიძნელე ბლაღოჩინის თანამდებობის აღსრულებისა და ის, თუ რა ხარჯს მოითხოვს ეს თანამდებობა და მე, როგორც ღარიბ კაცს, საძნელოთ მიმაჩნდა ამ თანამდებობის აღსრულება, ამიტომ ვსთხოვე განვეთავისუფლებიე ბლაღოჩინის თანამდებობისაგან, მაგრამ ამგვარს თხოვნაზედ უარი მიყო მისმა მეუფებამ და, ჩემის სიღარიბისა გამო, ყოვლად სამღვდელომ დამინიშნა მე კანცელარიის ხარჯათ იმ შვიდის ჩემის საბლაღოჩინო ეკკლესიებიდამ, რომლებსაც შემოსდის მიწის იჯარა, მიხედვისამებრ შემოსავლისა ერთის მანეთიდამ ათ მანეთამდი და სულ ოცდა თორმეტი მანეთი და ათი შაური და არა ხუთ-ხუთი მანეთი თითოეულის ეკკლესიიდამ, როგორც თქვენ გატყობინებენ. ეს ოცდა თორმეტი მანეთიც მანომამდე მეძლევა, სანამ ხაზინიდამ დაწესებულს ჯამაგირს სრულად არ ავიღებთ. ეხლა მიხვდებით, თუ რითი დავიმსახურე მე ყველა ბლაღოჩინებზე უპირატესობა.

ბლაღ. ალ. შარაბიძე.

---

## რომელ ქართულ გაზეთში უნდა იბეჭდებოდენ თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკების განცხადებანი ადგილების ვაჭრობაზე.

ჴსენებული ბანკების წესდებით რიგია, რომ ადგილების გასყიდვაზე ვალის სარგებლის თავის დროზე შეუტანელობის მიზეზისა გამო განცხადებანი იბეჭდებოდენ ადგილობრივ ქართულ გაზეთებში. ეს განცხადებანი დღემდის იბეჭდებოდენ ,,დროებაში'' და კარგი ძალი ფულიც გადიოდა მათ დასაბეჭდავად. განცხადების დაბეჭდვაში ბანკის მოვალეს ხდება რვა მანეთი (ნამეტანი ფასია, ჩვენის აზრით). ეს განცხადება იბეჭდება, სხვათა შორის, რუსულ გაზეთ ,,კავკაზშიც'', რომელსაც ჩვენი ხალხის ძალიან მცირე ნაწილი კითხულობს.

ამას წინეთ ახლად დაარსებულმა გაზეთმა ,,თიატრმა'' განაცხადა, რომ ეს განცხადებანი ,,ივერიაში'' კი არა, ,,თიატრში'' უნდა დაბეჭდილიყო, რადგან ეს გაზეთი უმეტესად გავრცელებულიაო.

საზოგადოდ მიღებულია, რომ თუ რაიმე ამბავი უნდათ გამოაცხადონ საქვეყნოთ, მაშინვე მრევლის მღვდლებს მიაშურებენ, რადგან ისინი უმეტესად არიან დაახლოვებულნი ხალხზე და მათგან უმეტესად ტყობილობს ხალხი ყოველ გვარ ამბავს და განცხადებას. არც ერთი ქართული გაზეთი არ არის გავრცელებული დღეს ჩვენ ხალხში და სამღვდელოებაში ისე, როგორც „მწყემსი“. არც ერთ გაზეთს არ შეუძლია დღეს ეს განცხადებანი მოფინოს ჩვენ ხალხში და შეატყობინოს ყველას ისე, როგორც „მწყემსს“. თუ ეს განცხადებანი ჩვენი ხალხის გასაგებად იბეჭდებიან, მაშინ ჩვენის აზრით „მწყემს“-ში უნდა იბეჭდებოდენ, რადგან ეხლა იშვიათად ნახავთ სოფელს, რომ „მწყემსი“ არ მიდიოდეს საკითხავად. რვა მანეთის გადახდაც თითო მოვალისაგან მისი სახელის, გვარის და ადგილის გამოსაცხადებლად ნამეტანი გლეჯა არის ჩვენის აზრით. მოვალეს საქმე გაჭირებია და ვალის სარგებელი ვერ შეუტანია ბანკში. შემწეობის მაგიერ ბანკი ორიოდე სიტყვის განცხადებაში რვა მანეთს ახდევინებს ამავე მოვალეს. ამ განცხადებათა ბეჭდვა არ ღირს რვა მანეთად. ჩვენ თუ ამ მცირე შრომაში ამდენ სასყიდელს ვახდევინებთ მოვალეთა, განა შეგვიძლია ურიები გავკიცხოთ, რომ ისინი შეხვედრის დროს მეტს სარგებელს გვახდევინებენ? ჩვენის აზრით კიდევ უფრო იაფად შეიძლებოდა ამ განცხადებათა ბეჭდვა. ეს განცხადებანი უნდა დაბეჭდონ პატარა წიგნაკებად და რომელიმე გავრცელებული გაზეთის საშუალებით დაურიგონ საზოგადოებას. მაშინ ერთი-ორად შემცირდებოდა ხარჯი.

ერთი აზნაურთაგანი.

## მამა ბლაღოჩინის შარაბიძის წერილისა გამო.

ჩე წავიკითხე მ. შარაბიძის წერილი „მწყემსის“ მე 17 №-ში მღვდლის სპ. აბულაძის წერილის შესახებ. რადგან ეს წერილი როგორც მ. აბულაძეს, ისე სხვა მღვდლებსაც გვეხება, ამისათვის მე, როგორც მღვდელს, მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვაამის შესახებ და გთხოვთ, მ. რედაქტორო, რომ ადგილი მისცეთ ჩემს სიტყვებს თქვენ პატივცემულ გაზეთში.

მე ვაქცევ ყურადღებას მ. შარაბიძის წერილის ბოლო სიტყვებს. აი ეს სიტყვები: „ამიტომ მ. სპ. აბულაძეს თუ სურს, რომ მისი ჰაზრი შესრულდეს, ორს საშუალებას ურჩევ: ერთი ის, რომ ბლაღოჩინს მღვდლებმა ჯამაგირი დაუნიშნონ და თუ ეს ეზარებათ, მაშინ ყველა მღვდლებმა იქონიონ რვეული და რაც ბლაღოჩინმა მთავრობის განკარგულება გამოუცხადოს მათ, ყველას ჰაზრი თავის რვეულში ჩასწერონ და აღარ დაავიწყდებათ“.

რვეულების ქონებაზედ გეთანხმებით, რომ მთავრობის განკარგულება ჩავსწეროთ შიგა. კეთილი და პატიოსანი. თქვენ საბლაღოჩინო მღვდლებს რომ დაიბარებ რომელიმე ადგილას, რომელს საათზედ შეიკრიბებიან ხოლმე? სამღვდელოება ერთ დანიშნულს დროს იკრიბება, თუ თითო-თითოთ მოდიან? ვის მიუჩენ შენ მღვდლებს, რომ დასხდნენ და ძელქვის, თუ ურთხველის ძირში კანტორა გახსნან? თქვენ დაადგებით თავს?—

განსვენებული დეკ. ზ. ზამრეკელოვი კარგი ბლაღოჩინი იყო. ებარა მას 12 შტატი და ყველა მთავრობის განკარგულებას სათითაოთ დასწერდა კიდეც და სახლში გაუგზავნიდა მღვდლებს. ვინ სწერდა ამას? დიაკონი მ. ნ. ზედგინიძე. იკითხე ეხლა, თუ მღვდლები რას აძლევდნენ მას ჯამაგირს? არასფერს. თქვენ რა გიჭირთ, რომ საბლაღოჩინოში რომელი მედავითნეც გეგულებოდესთ რიგიანი მცოდნე, იკურთხოთ ერთის მაგიერ ორი, (!!?) და რიგრიგობით გადააწერინოთ მთავრობის განკარგულებანი და გარდაცეთ მღვდლებს?.

ვითომ მე და შენ უცხოეთელი ქვეყნიდამ ვართ მოსული და არ ვიცით, თუ საბლაღოჩინოებშიდ როგორი დამართული ხელის მღვდლები გვყვანან? ერთი ეკკ. კრებული ხუთს წამს უნდება სახელის და გვარის მოწერას და ისიც, თუ გაუსვრელათ მოაწერა ხელი, დიდი საქმე იქმნება. ამისთანა კრებული დააჯინე და ძელქვის ძირში გადაგიწერს ერთი თვალის დახამხამებაში ათს სხვა-და-სხვა მთავრობის განკარგულებას! ასე თუ მოიქეცით ბლაღოჩინები, მაშინ ერთი საქმის გულისათვის სამი დღე მოგიგვიანდებათ.

თქვენ დარიგებას და რჩევას აძლევდით მ. სპ. აბულაძეს და მე თვით თქვენ გირჩევთ ბლაღოჩინებო: ზოგი თქვენ იშრომეთ მამანო, ზოგი, როგორც ზევითა ვსთქვი, დიაკვნები იკურთხეთ და იმსახურეთ. ამას კანონიც ასე ბრძანებს. (რომელი კანონი ბრძანებს?)

მღვ. სპირიდონ ჯულელი.

აქ არ შეგვიძლია არ უთხრათ მამა სპირიდონ ჯულელს, რომ სასულიერო მთავრობამ დიდი შემწეობა აღმოუჩინა სამღვდელოებას მით, რომ მისცა მას საშუალება მთავრობის განკარგულება არა თუ ხელ ნაწერი, ნაბეჭდი ჰქონდეს მას ნიადაგ. მაგრამ ამას წინ ხვდება მათის მხრით გულ-გრილობა, უხალისობა და დაუდევნელობა ამისთანა განკარგულებათა გაგებისა და შეტყობისა... რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საისტორიო მასალა.

Ქელაევის მაზრის სოფელს Იყალთოში არის სასაფლაოს ეკკლესია მშვენიერი გუმბათიანი და ფართო. მასშინა განისვენებს გვამი Ზენონისა, ერთის ათ-ცამეტის მამათაიანისა.

Ამ ეკკლესიაში იპოვებიან შემდეგი ხელთ-ნაწერნი წიგნნი:

1. სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებელისა, თარგმნილი წმ. მამისა Ევთიმის მიერ; ამ წიგნს აქვს გვერდი 250. Იგი არის მშვენიერი მგრვალის ხელით ნაწერი. სათაურად აწერია: Ქრისტეს მიმართ მორწმუნენო, რომელთა გაქვსთ გონება კეთილი, სამი რაიმე გიხმს კეთილ კრძალულებით აღმომკითხველსა. 1) პირველად ვიდრემდე გიხმს, მოცალებაა და მოწყმედა ამაოებათაგან და მიმოგონება ამაოსა ამის სოფლისათა. 2) Კეთილ-კრძალულებით აღმოკითხვით მითი, რათა ხორციელთა ხედვათა თანა სულიერიცა ხედვაი, რათა გონება სულისა გაქვნდეს მხედველად. . . . 3) Ესრედ ილვაწე Ქრისტეს მოყვარეო და საუკუნოსა ნეტარებისა ტრფიალო.

2. Წამება წმიდა Გიორგისა, ცხოვრება Დიონოსი Არიოპაგელისა, Ცხოვრება მაკარი რომაელისა, შესხმა პეტრე-პავლობისა, მეტაფრასი Ღვთის-მშობლის მიცვალებისა, შესხმა Ქრისტეს-შობისა Იოანნე Დამასკელისაგან, Ანდრია მოციქულის ცხოვრება, Იოანნე Ღვთის-მეტყველის ცხოვრება, შიშველ-მართალთ ცხოვრება, Ევსტათის ცხოვრება და წამება, ორმეოცთ მოწამეთ ცხოვრება, Ღვთის-მშობლის სიყრმიდგანი ცხოვრება, წმ. Დიმიტრის წამება, ცხოვრება წმ. ნიკოლოზისა, Გრიგოლ Ღვთის-მეტყველის ცხოვრება. Წიგნს აქვს გვერდი 236.

Თავი იწყობა ესრედ: მაცხოვარისა ჩვენისა Იესო Ქრისტეს პირველ საუკუნეთა მეუფებისა არა არს არცა დასაბამი დღეთა, არცა დასასრული ცხოვრებისა და სხვ.

3. Ლაფსაიკონი მხედრულად ნაწერი, რომელსაც აქვს გვერდი 405. Დაწყება აქვს ესრეთი: ამას წიგნსა შინა წერილ არიან სათნოებითნი მოღვაწეობანი და საკვირველებანი ცხოვრებისა წარმატებანი, სანატრელთა მამათა პატიოსანთა და განშორებულთა უდაბნოს.

Ბოლოს აწერია: არაგვის ერისთვის ასულო დედაო ანნავ, მცირედი ესე ამბავნი მიირთუ სახსოვრად ჩემდა, სიყვარულმან შენმან ამა ამბის მებნასა შინა სამოცი წიგნი წარმაკითხა და მათ შინა ვპოვე ცოდვილი მე შენი ბერი გაბრიელ. Წელიწადი არ არის აღნიშნული.

4. Კლემექსი ნუსხად ნაწერი. Პირველ ფურცელზედ აწერია: ეს ხაცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხვიდეთ, ანუ სწერდეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმიდანო ღვთისანო, ვითარმედ ნეტარსა მას მონასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქვამს, არა თუ კლემექსი ეწოდების, ნუ იყოფინ, არამედ იოანნე არს სახელი მისი, ხოლო კლემექსი წიგნსა ეწოდების და არს კლემექსი ბერძნულითა ენითა, ვითარმედ კიბეო.

Ბოლოს ფურცელზედ აწერია: მაღალ-ბრწყინვალეო კნიაზო ათანასი მაკაევო დ ბრწყინვალეო კნეინავ, დედაო ანნავ, მოვართვი ბრწყინვალებასა თქვენსა იოანნე კლემექსის წიგნი ფრიად სულთა სასარგებლო, რომელ არა იპოვებოდა სახლსა შინა ჩემსა, მშობელო, განსაცდელ შემთხვევისა გამო საქართველოისა აოხრებისაგან გაქვნდეს ჩემდა სახსენებლად და თქვენცა ბრწყინვალენო კნეინანო დაო დ სძალო ჩემნო ელენავ დ ვარვარავ, მე წიგნთა ვამრავლებ და თქვენ კითხვა განამრავლეთ. ცოდვილი ბერი გაბრიელ.

5. საუფლოთა დღეთა მეტაფრასნი, შესხმანი, წამებანი და ცხოვრებანი წმ. მოციქულთა, მოწამეთა და ღირსთა დედათანი, აქვს გვერდი 518.

266 გვერდზედ აწერია: აღვწერე სასო და სიქადული მოთხრობა ესე დღესა ივლისის ზ., რომელ არს სადღესასწაულო დღე ესე ქრისტიანეთათვის ცოდვილმან დედა-კაცმან ანნამ, არაგვის ერისთვის სარიდანის მის ბეჟანის ასულმან მეოხებად სულთა ჩემთათვის, აღმკითხველთა წიგნისა ამის გვერდით მოხსენება ჰყავით შენდობით მღვთის მშობლისა მიერ, წელთა ჩულზ.

Ამაშივე არის Ტარასისაგან ნაწერი ქადაგება პირველსა კვირიაკესა დიდმარხვისასა, რომლის ბოლოს აწერია ასე: ბრწყინვალის თავადის ასულო, ქრისტეს მოყვარეო ანნავ, ვიხილე რა ღვაწლი მოღვაწეთა თითოთა თქვენთა, მხილებულ ვიქმენ შინაგანისა მსაჯულისა ჩემისაგან უდებებისათვის ჩემის. და ბაძვად თქვენდა აღდგომილმან აღგიწერეთ ქადაგება ესე, უქმად ნაშთენსა ამას ქარტასა ზედა, ხოლო თქვენ, ყოვლად პატიოსანო დედაო, იმრთმელე კნინი ესე ძღვენი ჩემგან, ვითარცა საყვარელისა მისა თქვენისა გაბრიელისაგან და თუმცა დავიწყებულ ვიქნები წმიდასა ლოცვასა შინა თქვენსა გლახაკი ბერი ტარასი.

51. Გვერდზედ აწერია: უსაყვარლესო დაო ჩემო ანნა, ბრძანებისა დ თხოვნისა შენისა-მებრ სრულ ჰყავ, თქვენ ჩემ მიერ შრომილისა და ღვაწლ დადებულისა ამ წიგნის Ზანდუკისა შემზადება, თუმცა არა კანონიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შესაბამად დაინახოთ საღმრთოსა ამის წერილისა უდროობისა ჩემისა გამო, მომიტევეთ. გარნა ვსასოებ მხილველნი და მოსურნენი წმიდისა ამის წერილისა აღმოკითხვისანი ადვილად მიაგნობენ ანბანთა ამათგან რომელნი კიდურთა ზედა დამისხამან, და თავთა ზედა წარწერილობითაცა იცნობებიან ყოველნი ამა წიგნსა შინა დაუნჯებულნი მოთხრობანი, მეტაფრასნი, და წამებანი ყოვლად მშვენიერნი წმიდათა მოწამეთანი, და არა მომაგებენ წყევასა უდებებისა ჩემისა ნაცვლად, და მეცა სურვილისა თქვენისა მიმხედველმან შევსძინენ ხელითა ჩემითა ნამუშაკევნი ოც-და-ოთხსა ფურცელსა ზედა აღწერილნი, რომელნიცა არა იპოვებიან საქართველოსა შინა, თვინიერ იმა დედნისა, საიდამაც გამოვსწერენ, გარდა ეპისტოლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ მიწერილისა ავგაროს მთავრისა მიმართ, და იგიცა მისთვისა, ნუ თუ სოფელსა შინა იშვიათად იპოვებოდეს, და გვალად შეცთომა ესე მომიტევეთ, რომელ პორტაიტისა ღვთის მშობლის ხატისათვის ორგზის დავსწერე უმცირესმან ძმამან თქვენმან სოფრონიოზ ჩყჟზ-სა წელსა, დეკემბრის კგ დღესა.

---

518 გვერდზედ სწერია ასე: ნაპოლეონ ბონაპარტისაგან მინაწერი რუსეთის ხელმწიფესთან.

საყვარელო ძმაო ალექსანდრე.

ჭრესპუბლიკამა ფრანციისაგან გვცნა სარწმუნო მნებობაში ❧ მწე მქებრობისათვის მამულისა კეისრად თვისად, რომლის დაგვირგვინება აღსრულებად ჟერ არს დეკენბრის ათხუთმეტსა ❧ ყოველნი ხელმწიფენი თანახმად არიან, ვგონებ არც უარ-ჰყოთ. ხოლო პოლშისათვის განკიზრახეთ დამტკიცება რესპუბლიკად ❧ უკეთუ ესე არა გწადდეს, მაშინ აღტუდებით სახმილი შემწველობა

ნაპალიონ ბონოპარტი.

---

პასუხისგება რუსეთის ხელმწიფისა მასვე ქაღალდზედ წარწერა: უსამართლოდ მუნ მფლობელო ❧ გვირგვინისა გამაცუდებელო, პოლშა რესპუბლიკად რად გარდაგიქცევიეს, ვინადგან იგი დაპყრობილ არს ძალითა მახვილისათა, არა გარდაიქცევის ❧ ნურა ვინ იფიქრებს ამისათვის ესრეთ. ხოლო სახმილ შემწველობისათვის წყალნი საკმაოდ არიან ნებითა ჩვენითა დაშრეტად, და სარწმუნო ყოფისათვის ამისა წარმოგიგზავნი თქვენდა ძალასა ოცდა რვა ათასსა მხედრობასა ჩვენსა.

იმპერატორი ალექსანდრე პირველი.

---

8 ვერდზედ არის დაწერილი ასე: თამარ-დედოფლის საფლავსა ზედა დაწერილი.

ოდესმე ნაჭარმაგევსა შვიდნი მეფენი საფლავსა
ზედა დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა თვისთა
განმესხნეს,
თევზნი ამერთა წყლისაგან იმერთა შინა შთა-
მეხსნეს
და მე ასე ამის მოქმედსა ხელნი გულზედა და-
მეხსნეს.

—

მეგონა გვამი უსულოდ სამარედ დაიდებოდა,
წესით განმყოფი თვის თვისად საფლავად
შეიცვლებოდა,
მიწა მიწადვე და ცეცხლი ჰაერად გაიხდებოდა,
და წყალი ზე აღსვლით ქვემქცევი გვამლებრივ
გაიბნეოდა.

—

არ ნათელი მცჱრალი, არ ყვავილი ფერით
მჭრალი,
აქვს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,
გული უძს სალი, მით დასცა მძლავრი მწერალი,
და ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი.

მრთი ლექსიც სხვა არის დაწერილი, რომელიც იწყება ასე:

მეგონა გვამი უსულოდ სამარედ დაიდებოდა,
წესით განმყოფი თვის თვისად საფლავად
შეიცვლებოდა,
მიწა-მიწადვე და ცეცხლი ჰაერად გაიხდებოდა,
და წყალი ზე აღვსლით ქვე მქცევი გვამლებრივ
გაიბნეოდა.

—

გარნა აწ ვხედავ სხვას უცხოდ ბუნებისაგან
უმაღლესს,
ვინადგან რომე გვამი ვალს სულისა გარდა
უაღრესს,
ეგრეთვე ვითარ პირველად მოძრაობს, მქცეობს
უახლესს,
და ჰქა ახალი აწ ქცევით ყოველთ აკვირვებს
უდარესს.

—

ნუ თუ ესე აჩრდილი არს, ანუ სიზმარ
მონაჩვენი,

ოცნებით ნაღვარი, გინა ფიქრით მონაცქერი,
ნიკოლოზ დეკანოზი მოსკოვს ვმყოფობ ლექს დამწერი,
და ცრუსა მუხთლის სოფლისაგან, ნაღვლისაგან ვერ განვერი.

—

საყვარელს გნებავს უკეთუ ტრფიალის ამის ცნობანი,
ეს ვინ ჰქონ კადნიერება ფერებთა აღმწერლობანი,
არს ცოდვილ, არამედ ღმერთსა ნებავს ცოდვილთაც გებანი,
და ესეც ინება საყოფლად, მოსკოვის დამთხოვლობანი".

მღვდელი მიხეილ ხელაძე.

## კიდევ საისტორი მასალა.

ამას წინედ მე «მწყემსში» დავსწერე წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ვლაპარაკობდი ქართველ მამის პეტრე ეპისკოპოსის გამორიცხვაზე წმიდათა რიცხვისაგან. ჩემი წერილის უმთავრესი აზრი იყო შემეტყო მიზეზი, რომლის გამო ხსენებული ეპისკოპოსი იქმნა გამორიცხული წმიდანებისაგან; მაგრამ ამ კითხვას არავან ყურადღება არ მიაქცია, თუმცა ამ საქმის გამოკვლევა საჭიროა. ამ საქმის გამოკვლევა საძნელოც არის, რადგან ამ ეპისკოპოსის წმიდანების რიცხვიდგან გამორიცხვის მიზეზების შესატყობად საჭიროა განვიხილოთ არა მხოლოდ ქართული, რუსული და სომხური ძველი ხელთ-ნაწერები, არამედ ამასთან ერთად საჭიროა განვიხილოთ ბერძნული, ლათინური და ასირიული ხელთ ნაწერებიც. ამასთან ამ კითხვის ასახსნელად საჭიროა არაბული და ეგიპტური წერილების მოძებნაც. ეს უკანასკნელნი მით უმეტესად საჭირონი არიან, რომ ეს წმიდა მამა ბერძენთა და ლათინთა წმიდა მამებისაგან დიდი პატივით იყო მიღებული წმიდათა რიცხვში და დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, კი ის გამორიცხულ იქმნა წმიდათა რიცხვისაგან, როგორც ერთი ვინმე მწვალებელი.

«ქართლის ცხოვრების» სიტყვით ჩვენი წინაპართა ცხოვრება ვახტანგამდე აღიწერებოდა ხოლმე სხვა ტომთაგან. თუ ეს ასე იყო, მაშინ, რასაკვირველია, პეტრე ეპისკოპოსის ცხოვრებაც აღწერილ უნდა იყოს ბერძენთა, სირიელთა და სხვა უცხო ტომებისგან, რადგან ეს წმიდა მამა ამ ზემოთ მოხსენებულ ტომთა შორის სცხოვრებდა და განთქმულიც იყო მათში თავის წმინდა ცხოვრებით.

კონსტანტინე დიდის შემდეგ ქართველთ მეფენი მძევლად აძლევდნენ თავიანთ შვილებს (უფლის წულთ) ბერძნის კეისრებსა, რომ ამ პირველთ სპარსელების მხარე არ დაეჭირად და მუდამ ბერძნებთან შეერთებულ ყოფილიყვნენ. ამიტომაც თეოდორე დიდის დროს მირიან მეფის ძე (თუ ძის ძე) ბაქარი იყო გაგზავნილ კონსტანტინეპოლში მძევლად; ეს ბაქარი მოკვდა დიდ ომში არბოგასტის ლაშქართაგან 393 წ. 408 წელში, როცა გამეფდა 8 წლის ყრმა კეისარი თეოდორე მცირე თავის დის პულგერიის მფარველობის ქვეშე, ამანაც მოსთხოვა ქართველ მეფეს ვარაზბაკურს მისი ძე მურვანი, რომელიც იყო 12 წლისა. ვარაზბაკურმა შეასრულა ბერძნის კეისრის თხოვნა და მისცა თავის ძე მურვანი, რომელიც ბერძნის კეისართან ერთად იზდებოდა მეფის სასახლეში. აქ იწვრთნებოდა იგი ღვთის მსახურებაში პულგარია დედოფლის ხელმძღვანელობით. პულგარიას ქალწულობის აღთქმა ჰქონდა მიცემული ღვთისთვის და ამიტომ თავის სასახლე ეკკლესიასავით ჰქონდა მორთული, სადაც დილა საღამოთი უფლისწულნი ლოცულობდნენ. როცა მურვანმა შეითვისა წმიდა ცხოვრება, ერთი საჭურისით გაიპარა იერუსალიმში და აქ შესდგა ბერად და სახელად უწოდეს მას პეტრე და მის საჭურს—იოანნე. პეტრემ და იოანემ იწყეს დაყუდებული ცხოვრება და მალე განითქვენ თავიანთი ცხოვრებით. ესენი ხშირად დასტოვებენ ხოლმე მონასტერს და მოგზაურობდნენ სხვა და-სხვა ადგილებში და მონასტრებში. ბოლოს პეტრე შეიქმნა მოაბის ეპისკოპოსად. ეს პეტრე დაესწრო ორ მსოფლიო კრებებზე ეფესში და ქალკიდონს, რომლებზედაც დაისაჯენ მწვალებელნი ნესტორი და ევტიხი 431—451 წ. პირველი კრება მოხდა კეისრის თეოდორე მცირის დროს და მეორე მარკიანე კეისრის დროს. ამ კრების შემდეგ კიდევ დიდი ხანი იცხოვრა პეტრემ და მერე მშვიდობით განისვენა. ჩვენ «ქართლის ცხოვრებაში» აი რა სწერია პეტრეზე: «ხოლო ამის ნეტარისა ფრიადი ქება აღწერა გრიგოლ დიოლოგმა, წმიდისა პატრიარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქისა რომისა წიგნსა შინა თვისსა!» 104—105 ქართლის ცხოვრებისა გ.

ეს გრიგოლ დიოლოგი იყო რომის დიდი პაპის გრიგორის ძე იორდანე პატრიკისა (ერისთავისა), კაცი გონიერი და მცოდნე სასულიერო და საერო მეცნიერებისა და ამის გამო იუსტინ კეისარმან ის რომის ქალაქის გამგედ გაამწესა. ცოტა ხნის შემდეგ ამანაც აიღო ხელი ქვეყნიდამ, ეკურთხა ბერად და შევიდა წმ. ანდრიას მონასტერში. როცა ის განითქვა თავის წმიდა ცხოვრებით, მაშინ ბენედიქტე პაპამან აკურთხა ის მთავარ-დიაკვნად. პელაგიო პაპამან ის გაგზავნა დესპანად კონსტანტინეპოლის ტიბერიოს კეისართან, სადაც მრავალი სარგებლობა მოუტანა ეკკლესიას 590 წ. ბოლოს დადგა პაპად და იწყო მრავალი მოღვაწეობა. თითოეულ დღეში 12 გლახაკთ ზრდიდა. თავის სიცოცხლეში ბევრი საეკკლესიო კითხვები ახსნა და განმარტა და მასთან მან ბევრი სიტყვა და მოძღვრება დასწერა. ამანვე გაგზავნა ინგლისში თავის მოწაფენი, რომელთაც აქ გაავრცელეს ქრისტეს სწავლა და ბევრიც მოაქციეს ქრისტეს სარწმუნოებაზე და თვითონ 605 წ. გარდაიცვალა. აი ამისთანა შეგნებული და განათლებულ პირს დაუწერია ქება პეტრე ქართველზე. მსოფლიო შვიდთა კრებათა აღწერილობასა შინა მოხსენებულია მეთოთხმეტე მუხლში შემდეგი: «ჩინებული იყო კიროს ეპისკოპოსი კარიისა ეფესის წმ. კრებაში მლიტის ეპისკოპოსი დიდი აკაკი, მოძღვარი წმ. ევთიმისა, რომელიც გამოჩენილი იყო იმ დროს პალესტინაში. ამათთან იყო ღვთის კაცი პეტრე ეპისკოპოსი სარაკინოსთა თუ არაბების სახელ განთქმული სიწმიდითა, რომელიც (პეტრე) აკურთხა ხსენებულმა ევთიმე ეპისკოპოსმა და გაგზავნა კრებაში და დააკვალა: ერთად ემოქმედა კირილე ალექსანდრიელთან და აკაკი მელიტელთან.»

პეტრე ქართველს ისტორიკოსნი ზოგნი მოამის ეპისკოპოსად ასახელებენ, ზოგნი სარაკინოსთა და არაბთა, ზოგნი ფინიკელთა და ზოგნიცა გაზელთა. სხვათა შორის მიხაილს ახარებს პატრიარქი ევტქიანი, როცა ჩამოსთვლის ეფესის და ქალკიდონის შეკრებილთ მამათა, ბოლოს ასე სწერს: «ამათში მეტად ეკრძალებოდათ პეტრე გაზელთ ეპისკოპოსისაგან მისი მომეტებული სიწმიდისათვის, რომელიც ქართველთ მეფის ძე ყოფილიყო მძევლად მოსული კონსტანტინეპოლს, საღმრთო წერილის შესწავლით აღერჩია დაყუდებულობის მჭიდრო ცხოვრება და განთქმულ იყო მოღვაწეობაში, მით ძალად ეკურთხათ ჯერ მღვდლად და შემდგომ მთავარეპისკოპოსად პალესტინისა, რომელიც იჯდა გაზად, ეს იტყოდა ხოლმე, როცა მე კონსტანტინეპოლს ვიყავ, ორმოც ყრმათ დღესასწაულს, საკათედრო ეკკლესიაში ვიყავით შეკრებილნი. მიიხედა ნესტორმან ყოვლად წმიდის ხატსა და სთქვა:» არ შეგეძლოს დაქადნა მარიამ, როგორც თუ შენ ღმერთი გეშობოს, რადგან შენ ადამიანი ხარ და კაცი გიშობია და არა ღმერთი, როგორც ჩემმან მღვდელმან წარმოსთქვაო: «ეს სთქვა თუ არა, მაშინვე ეშმაკეულ იქმნა და დაბნედილი დაეცა იქავ, რომელიც მისმა დიაკვნებმა ასწიეს და წაიყვანეს თავის სადგომში. აქეთგან წარმოსდგა ამღვრეულობა ეკკლესიისა, თუმც ცოტა ხანს პირი დაიყო, გაჩუმდა; მაგრამ, შემდგომ რისხვისა, ისევ ხელი მიჰყო თავის ულვთოებასაო.»

მართლა ეფესის კრების ძველ წერილში სწერია ასრე: «მაშინ კონსტანტინეპოლის სასულიერო პირთა შორის თუმც ნეტარელი პროკლი კურთხვილიყო კიხიკის ეპისკოპოსად, გარნა რადგან უფლება არ მისცემიყო კიხიკის ეკკლესიაზედა, იყო კოსტანტინეპოლში. ეს ერთ დღეს, როგორც ამბობენ ხარებას, როცა დიდ ძალი ხალხი შეკრებილიყო ეკკლესიაში, სადაც იჯდა კათედრაზედ თვით ნესტორიცა, მშვენიერი მჭევრ მეტყველური ქება-შესხმა წარმოსთქვა მართლმადიდებრივი ღვთის-მშობელ ქალწულ მარიამზედა, რომლითაც მეტად დაატკბო მაყურებელნი და ქება მიიღო ყოველთაგან! გან ნესტორს კი მეტად ეჯავრა მისი მოძღვრება! ჩვეულებად იყო იმ დროს, როცა ვინმე მოქადაგე თავის სიტყვას დაასრულებდა, მღვდელი იქნებოდა ის, თუ ეპისკოპოსი, ბოლოს დროს წარმოსდგებოდა პატრიარქი და დამატებით დასკვნას მისცემდა მის სიტყვაზედა! ამ დროს თურმე წარმოსდგა ნესტორი და ზეგამოყვანილი ერეტიკული სიტყვა წარმოსთქვა იმ დიდს შეკრებილებაში, რომლის გამოც დიდი აყალ-მაყალი ასტყდა ეკკლესიაში.» დ. მუხ.

იგივე მიხაილ პატრიაქი სწერს: ამ წ. მამა პეტრეს ახლდა მოწაფე ერთი სახელად იოანნე წინასწარმეტყველი, რომელმანც დასწერა 72 სიტყვა (ხილვა) წინად ქალკიდონის კრებისა, რომელიც ამბობდა თამხედურად, რომ ქალკიდონის კრება მოხდა ღვთის მიშვებით ულთო კაცთაგან და არათუ სული წმიდის შთაგონებითა, როგორიც იყვნენ ნიკიისა, კონსტანტინეპოლისა და ეფესოს კრებანიო, რომლის სიტყვებს უკლებლად აქ მოვიყვანთ ხელსამძღვანად მორწმუნეთა (ევტიქიანთაო), ამ წ. მამა პეტრემ მიიწერა წერილი სასომხეთოდ, შეჰნატრა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მათ კრებას და სთქვა: «როგორც მაგ ქვეყანამ ნოეს კიდობნის მიერ ხელმეორ განამრავლა ერთ დროს კაცთ ტომის შთამომავლობა ქვეყანაზედა, ეგრეთვე მაგან უნდა მოსცეს მართლ-მადიდებლობის თესლი ყოველს ქვეყანასა, ამისთვის მტკიცედ ეცვენით ქრისტეს უძრავს კდეს ზედა მშვიდობითაო.» ახლა საჭიროა გამოკვლევა; უწინ სომხეთად სთვლიდნენ უმრავლეს ნაწილთა სამესხეთოსას და საქართველოს. ვნახოთ, ეს წერილი სომხებს მისწერა, თუ ქართველებს? ცხადი საქმეა, რომ ქართველი კაცი ქართველებს მისწერამდა, რომელთაც უმრავლესნი სასომხეთოდ სცხოვრობდნენ, როგორც ალაშკერტს, ანისკენს, შორაგალს, კარისში, კალხევანს, ვანანდს, კარინს და სხვაგანაც.—კვალად სწერს: მომითხრა ჩვენ იმავე წ. მამამან ჩემმან (პეტრემან) ურჩაელ დაყუდებულ პალაკიოსის საქმე, რომელსაც ჰქონდა თურმე მადლი წინასწარმეტყველებისა, ამას ესმა რა წვალება იბასისა, შერისხა, გარნა რა არ უსმინა, გაუწყრა მას მეტად ის წმიდა, ადგა და მოვიდა ფილისტმედ, სადაც სცხოვრებდა დიდის დაყუდებითა. ეს წ. კაცი მოდიოდა ხოლმე ჩემთან ხშირად სულიერის საჭიროებისათვის. ერთ დღეს ეს ალტაცებულ იქმნა გონებითა და შევნიშნე, რომ რაღაცა გამოეცხადა, ვკითხე მე მიზეზი ალტაცებისა? და მითხრა ესრედ: შვიდის წლის შემდგომ დაჯდება მარკიანე კეისრად, მოახდენს მსოფლიო კრებას და დაამტკიცებს ნესტორსა თავის კათედრაზედა, რომლისა გამოც მე და შენ მივიღებთ დიდს შეწუხებასა და იმ შეწუხებაშივე აღვსრულდებითო!»—ერთხელ კიდევ ასრე ალიტაცა და დაიწყო ვაის მიყრა პულგერზედა, შემოკრბა სიმრავლე და ჰკითხვიდენ: რასათვის ვაის აყრი პულგერსაო? და უამბო: «პულგერს, რომელსაც თავის თავი შეუწირავს ღვთისათვის, იმრუშებს და განვარდება ღვთის პირისაგან, მით იქმნება დამაქცეველი მართლ-მადიდებლობისაო!»

კვალად იტყოდა ხოლმე მამა-ჩვენი პეტრე: რა კვდებოდა თეოდო კეისარი (მცირე), ვიღაცა მეუდაბნოელმან წინად სცნა სულითა და მაღალის ხმით დაიძახა: «მოკვდა სადამე მართლ-მადიდებლობა დღეს, დაგვატყდა ცა თავსა, არავინ სწუხს და არც არავინ გვყავს მომტირალეო!»—როცა ნესტორი ეგვიპტედ ექსორიად დასჯილიყო თეფსაში, ვიღაც მეფის მხედარ-მთავართაგანი მივიდა ჯარისათვის ულუფის დასარიგებლად. ამ მხედართ მთავარმან ნახა ნესტორი და უთხრა: «აპირობენ მსოფლიო კრების განმეორებასა და უნდათ შენი მიწვევა იმ კრებაშიო! მეტად გაეხარდა ნესტორს ეს ამბავი! მივიდა რა მაწვევარი მაგისტერი (სულთანი), მომეტებულის სიხარულისაგან აღარ იყო, ამის თქმა კი მოასწრო: ნუ თუ შესაძლებელია ჩემი ნათქვამი სიტყვის გარდათქმა, რაც ვსთქვი, რომ მარიამი არ არის ღვთის-მშობელი მეთქი?». ამის თქმა იყო და მაშინვე წვეთი მოუვიდა და ენა ჩაუვარდა და იწყო თავის კბილით თავისივე ხორცის გლეჯა და ამ რიგის რისხვით მოკვდა წარწყმედილი!

ასრე ამ ნაირი არეულ-დარეული მოთხრობებია საჭურის ყოფილ იოანესი ზოგი პეტრე ქართველზედ და ზოგი სხვებზედ შესახებ ნესტორისა და ქალკიდონის კრების დამცირებისა სამოცდა თორმეტამდის, თუმც რომ მართალი იყოს, მოწაფის შეცთომილება მოძღვარს უნდა მივაწეროთ? მუდამ ერეტიკები და მწვალებელნი ცდილობდნენ თავიანთ მოძღვრებაში ეხმარათ წმიდა მამების სახელნი და მოწმობანი გადაბრუნებით, რომ ამით მიეღებინათ უმეცართათვის მართლ-მადიდებლობა! ასრე მოქცეულან სომხების ევტქიანთ მოთავენი: ნერსეს კზი, აშტარაკელი, ხაჩეცარის შემტანი, გრიგოლ კესარიელი, სტეფანე სივნელი, პავლე ტარონელი, გრიგოლ ტათეველი, ვარდანი, იოვანე ოძნელი, იოანე მაირაგომელი, იოანე ოროტნელი, სარქისი და სხვანი, თავიანთ თხზულებაში უკუღმა ხმარობენ მოწმობასა წ. ათანასისა, წ. კირილესა და სხვათა.

ვინმე მესხი.

## მაჰმადი-ისლამის დამაარსებელი

### და მისი სწავლის მიმდევართაგან მიყენებული ტანჯვა-წვალებანი საქართველოს და სხვა მხარეთა ქრისტიანეთადმი.

### V.

ჩალე დროში მაჰმადს მიეცა კარგი შემთხვევა გასამარჯვებლად. იატრაბას (მედინის) მცხოვრებნი, რომელთაც დიდი ხნიდგან შული ჰქონდათ კორეიშებთან, მიემხრნენ მაჰმადსა. თვისის შუა კაცების პირით სახალხოთ გამოაცხადეს, რომ უკანასკნელნი ყოველივე ღონეს იხმარებენ, რათა დაიცვან წინასწარმეტყველის სიცოცხლე. მაჰმადი თავის მხრით დაჰპირდა მათ, რომ ის სიკვდილამდის არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტოვებს მათ და, თუ მის სამსახურში დაიხოცებიან, მიანიჭებს მათ სამოთხესა. ამ სახით მან შეიძინა ერთგულნი, მძლავრნი თანამოაზრენი და სამშობლო ქალაქიდგან განდევნის დღისთვისაც მათში გაიჩინა კარგი თავ-შესაფარი.

ასრეც მოჰხდა. კორეიშებმა ნახეს, რომ ძალა გავლენა ემატებოდა მაჰმადსა, ხელ-ახლა განიზრახეს მისი მოკვლა. სიკვდილი გადუწყვიტეს. მაჰმადმა გაქცევა მოინდომა. 16 ივლისს, 622 წელსა ღამით საგზაოდ მომზადდა. თვისნი მომხრენი წინ-და-წინ გაისტუმრა. მარტო აბუ-ბექრი მიჰყვებოდა წინასწარმეტყველსა, რომელიც ძლივს გადარჩა თავის მტრების დევნისაგან. გაქცევის მე 16 დღის თავზე მიაღწია მან იატრებსა, შემდეგში წოდებულს «მედინა-ალ-ნაბი,» რომელიც ნიშნავს წინასწარმეტყველის ქალაქსა. აქაური მცხოვრებნი სიხარულით აღივსნენ, როდესაც მაჰმადი მშვიდობით მიუვიდათ მათ და ხელ-ახლა აღუთქვეს მას თვისი ერთგულება. ეს გაქცევა ანუ ლტოლვა, რომელსაც უნდა დაემცირებინა გავლენა მაჰმადისა, პირიქით შეიქმნა ბრწყინვალე ხანად მისი ცხოვრებისა. ამიტომ მისმა მეორე მოადგილემ — ხალიფმა ომარმა წელთა აღრიცხვა მაჰმადიანთა დაადგინა მაჰმადის მედინაში გამოქცევიდამ (გიჯრი).

## VI.

ამ დროიდამ მაჰმადმა თვის სწავლას უფრო მარტივი და ცხადი ხასიათი მისცა. წინანდელს უმთავრეს დოღმატს: «არს ერთი ღმერთი და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველი,» დაუმატა კიდევ დარიგებანი ღვთის ნების აღსრულებაზე (ისლამ), ტანის ბანვაზე, ლოცვაზე, მოწყალებაზე, ბედის-წერაზე, რომელსაც ვერავინ გადურჩება, დაჯილდოებაზე და საიქიო სასჯელზე. მაჰმადს არ დაუტოვებია სისტემატიურად აღწერილი სწავლა. თვის სწავლას ის დრო გამოშვებით პატარ-პატარა ეტრატებზე სწერდა ხოლმე და სახელწოდებით «ყორანი» (წერილი) ავრცელებდა ხალხში. მაჰმადის სიკვდილის შემდეგ მისმა მოადგილემ, ხალიფ აბუ-ბექარმა შეაგროვა ყველა ეს ეტრატები და შეჰკრა ერთ წიგნად, რომელიც გაჰყო 114 თავად და მთელს წიგნს უწოდა «ყორანი».

## VII

მედინაში გაქცევამდის თავის სწავლას მაჰმადი მშვიდობიანად ავრცელებდა ხალხში, მტრების დევნას ითმენდა. ბოლოს კი მან თავისი ჰაზრების გასავრცელებლად იხმარა ხრმალი. მქადაგებელი შეიქმნა ულმობელ სპასალარად. მის მომხრეებს ურწმუნოებთან ბრძოლა შეექმნათ ვალდებულ საგნად. «ორი თვის მარხვასა და ლოცვასა, აღემატება ერთი წვეთი სისხლი, დანთხეული ღვთისათვის და აგრეთვე იარაღით გატარებული ერთი ღამე შეადგენს დიდს სამსახურსა. დღესა სამსჯავროსა წყლულნი მისნი იქმნებიან ნათელნი, როგორც ცაცინათელანი, და მათი სუნიც მიემსგავსება მუსიკის არომატსა; და შევა იგი ედემის მშვენიერ ბაღებში. იქ იგი განისვენებს ოქრო ქსოვილს აბრეშუმის ბალიშებზედ. მის ახლოს იმდინარებენ თაფლისა, რძისა და ღვინის მდინარენი. მის შესაქცევად და სანეტაროდ მზად იქმნება მშვენიერი საჭმელები. მასთან ყოველთვის ისაუბრებენ შავ-თვალა ქალწულნი (ზურიანი), მშვენიერნი, როგორც იაგუნდი და ლალი, საუკუნოდ ქალწულნი, ნარნარნი; ესენი თვის ქალწულებას საწოლზედაც არ დაჰკარგავენ. არას დროს მის ყურს არ შეესმის უბრალო ლაყბობა, არამედ მარადის საუკუნო ნეტარებაზე ელაპარაკებიან.—პირიქით საშინელნი არიან სახელნი ჯოჯოხეთისანი მისთვის, რომელმაც არ იბრძოლა ისლამისათვის, ანუ დაუტევა მას: იგი შთავარდება ცეცხლსა შინა და არც დაიწვის და არც მოკვდება. რამწამს ჯოჯოხეთის ცეცხლზე დაეწვის კანი, იმავ წამს იმ ადგილზე გადაეკვრის ახალი კანი. დაბმული 30 ალაბის სიგრძე ჯაჭვზედა, იგი იძულებული იქმნება იკვებოს ლეშითა და სვას მდუღარე წყალი». ამისთანა სწავლით მაჰმადი თვის მომხრეთ უნერგავდა სიმხნესა და თავ განწირულებასა. ამიტომ მისი მომხრენიც უშიშრად მიდიოდენ ბრძოლის ველზედ და იმარჯვებდენ...

მ. ჯ.

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

«მწყემსის» მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს საექსარხოსოში დაარსდა ღვთის-მშობლის სახელობაზედ ძმობა სიონის სობოროსთან მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის პავლეს თაოსნობით. ამ ძმობის პირველი სხდომა იყო ათს ამა თვეს, ნაშუადღევის პირველ საათზე თვითონ ექსარხოსის სასახლეში. დღეს დღეობით ძმობას აქვს რვა ას ოთხმოცდა ექვსი მანეთი (886 მან.), შემოწირული სხვა-და-სხვა პირთაგან. ამ ფულებში

ყველაზე მეტი (ორასი მანეთი) შეწირულია თვითონ ექსარხოსისაგან; მთავარ-მმართებელმა თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა შემოსწირა ასი მან. (100 მ.); კამენეც პოდოლსკის ეპისკოპოსმა იუსტინემ შემოსწირა ასი მანეთი (100 მ.); კავკასიის ეპისკოპოსმა გერმანემ, არხიმანდრიტებმა: გრიგორიმ, მაკარიმ და კესარიამ, დეკანოზებმა: პ. ჩუდეცკიმ, გუმილევსკიმ და კალისტოვმა შემოიტანეს ხუთ-ხუთი თუმანი და სხვ. მოსკოვიდამ ბ. ივანოვისაგან მიღებულია ასი მანეთის საღირალი წიგნები და ხატები ორმოცდა ოთხი მანეთისა. ჩვენ რედაქციამ შესწირა ძმობას ათას ხუთასი დაბეჭდილი ეკზემპლიარი «ძმობის» წესდება და მოწოდება ექსარხოსისა. იმედია, რომ ეს დაწესებულება ნაყოფს მოიტანს ჩვენში, რასაკვირველია, თუ გულ-გრილობას არ გამოიჩენს ჩვენი საზოგადოება ფულით დახმარებაში.

* * *

მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი, არქიეპისკოპოსი პავლე წაბრძანდა თბილისიდამ ქ. ფოთში დასახედავათ იმ შენობათა და ადგილისა, რომელსაც ფოთელები სწირვენ, თუ ეპისკოპოსის კათედრა იქმნა დაარსებული ფოთში. როგორც ეს ადგილი, ისე შენობა ძლიერ მოსაწონია. ექსარხოსმა სწირა ორს ნოემბერს ფოთის ეკკლესიაში; ბრძანდებოდა ბატალიონის ეკკლესიაშიც. აქ მყოფობის დროს სამჯერ სთქვა მშვენიერი ქადაგება, დახედა სასწავლებლები და ძლიერ კმაყოფილი დარჩა ფოთის ქალაქით. ფოთელები დიდ ადგილს, შენობებს და შემწეობას ჰპირდებიან ეპარქიას; და მოსალოდნელია, რომ ეპისკოპოსის კათედრა ფოთში დააწესონ.

* * *

ბ. ესტატე მჭედლიძის მკვლელობის საქმე გათავდა 31 ოკტომბერს. მკვლელათ იცვნეს კონსტ. მელბაქიანი, რომელსაც თერთმეტი წლით კატორგა გადაუწყვიტეს. ეს მკვლელობა ძლიერ გასაოცრად იყო მოხდენილი. მთელს საქართველოში არ მომხდარა ამ გვარი მკვლელობა. ამ მკვლელობის საქმის გარჩევის დროს თქვენ გაგონდებათ მირინოვიჩის საქმე სარრა ბეკერის მკვლელობის თაობაზე. მირონოვიჩის საქმის გარჩევის დროს საზოგადოების ყურადღება მიიქცია ერთი ვიღაცა ახირებული, სულელი სემენოვას ჩვენებამ. აქაც არა ნაკლები ყურადღება მიიქცია ერთი ვიღაცა ხუნდაძის ახირებულმა ჩვენებამ.

* * *

ამ უკანასკნელ დროს გარდაიცვალა გურიაში ყველასაგან ცნობილი თავადი დათა გუგუნავა. დათა გუგუნავა მთელი საზოგადოების საყვარელი კაცი იყო და ამიტომაც მის დამარხვაზე დიდი მწუხარება და გლოვა იყო. მრავალი სიტყვა წარმოითქვა მის კუბოს წინ. ჩვენ მოგვყავს აქ მოკლე სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ბ. პ. გ. ნაკაშიძემ მის დამარხვაზე.

«კაცი არ არის გურიაშიდ, რომელიც დათა გუგუნავას გარდაცვალებით არ შეწუხებულიყოს; ჩვენ ვხედავთ, რომ გურიის ყოველის კუთხიდამ და ყოველის წოდებისაგან დიდი და პატარა დღეს აქ შეგროვებულან: ეს საყოველთაო სიყვარული რითი დაიმსახურა დათამ? ყველამ ვიცით, რომ დათა იყო დიდათ პატიოსანი, ღმობიერი, მოსიყვარულე და იშვიათი ერთგული კაცი; მაგრამ ეს კიდევ არ კმარა ამისთანა ძლიერის საზოგადო სიყვარულის მოგებისათვის. ამისათვის საჭიროა სხვა რამ უმაღლესი ღირსება და ნიჭი.

დათა იყო უმაღლესად წარმომადგენელი ძველის გურიისა, ძველის ზნითა, ძველის გულითა და ჩვეულებითა. ამ ჩვენს ყოველს გვარს ცვლილებისა და გადაგვარების დროს, იგი ერთი შერჩა ქვეყანას შეუცვლელად, როგორც ერთი ძველი მუხა გაშენებულს მამულშიდ.

დათა გუგუნავაშიდ ჩვენ გვიყვარდა და ვაფასებდით ძველს გურიას; ჩვენ გვიყვარდა მისი გონების სიმახვილე, იმისი დაუღალავი მოლხენა, გამამხიარულებელი სიმღერა, იმისი მოხდენილი ჯირითი და იმის საკვირველი სიმკვირცხლე.

ჩვენ გვიყვარდა ყველა ესენი და ვსტირით და მგლოვიარობთ იმას, რომ დღეს ესენი დროთა ვითარებისა გამო დათასთან ერთად უნდა გაქრენ საუკუნოდ...

* * *

სამღვდელოების უკანასკნელი შეკრებილებისაგან შოთხოვნილი ფული, რომელიც გადადებული იყო სემინარიის დასაარსებლად, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, მიუღიათ ქუთაისის სამაზრო ხაზინაში, საიდამაც სამღვდელოებას, როცა ისურვებს, შეუძლია მიიღოს.

* * *

ყელ-ჭირვება მძვინვარებს ქუთაისში. ჯერ-ჯერობით, როგორც გვესმის, ამ სენის წინააღმდეგ არ არის, ვისგანაც ჯერ არს, მიღებული ჯეროვანი ზომები. ეს ავათმყოფობა გავრცელებულია აგრეთვე ზოგიერთ იმერეთის სოფლებშიაც. დაბა წევაში ოთხი-ხუთი ბოვში იმსხვერპლა და დაბა ყვირალაში ერთს რკინის გზაზე მოსამსახურეს ორი ბავში მოუკლა.

***

გამოვიდა განკარგულება იუსტიციის მინისტრისგან, რომლის ძალითაც მოსამართლეთ ვალად ედებათ შევიდენ სასამართლოში ყოველთვის არა უგვიანეს ათი საათისა. გარდა ამისა ამ განკარგულებით მათ აღეკრძალებათ ღამ ღამობით საქმეების გარჩევა. რაღა თქმა უნდა, რომ ეს განკარგულება მეტად სასარგებლო და გონივრულია და იგი დღეიდგან ბოლოს მოუღებს ჩვენი ხალხის ტყულა-უბრალოთ მოცდენას და სასამართლოების წინ უსარგებლოთ ყურყუტს.

***

ბოლგარიელებსა და სერბიელებს შუა, როგორც გაზეთებიდამ სჩანს, ჩინებული ომია გამართული იმისთვის, რომ ბოლგარიამ რუმელია შეიერთა. აქნობამდის მთელს ქვეყანას და განსაკუთრებით რუსეთს ის აწუხებდა, რომ სათათრეთის მონებაში იყვნენ ბოლგარიელები, სერბიელები და ყველა ბალკანიის კუნძულის სლავიანები. დაინთხია აუარებელი სისხლი რუსეთის სალდათთა და განთავისუფლდნენ ეს თემები სათათრეთის მონებისაგან. ახლა ორი მოძმენი ერთმანეთს მიდგომიან და ჴლეტენ!...

***

ჩვენ მივიღეთ ოდესის უნივერსიტეტის ერთ სტუდენტისაგან შემდეგი წერილი:

მ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ მომცეთ ნება თქვენის ჟურნალის შემწეობით გამოვუცხადო ჩემი გულითადი მადლობა ქ. თ. ჩხეიძისას და იმ პირთ, რომელთაც აღმომიჩინეს მე შემწეობა 80 მანეთის გამოგზავნით.

ოდესის უნივერსიტ. ქართველი სტუდ. გ. ლ—შვილი

---

**შეცდომის გასწორება.** «მწყემსის» 21 №-ში, მეორე გვერდზე, პირველი სვეტის ძირიდამ, მეექვსე სტრიქონზე არის დაბეჭდილი: «ერთი კაცის მეტს ვერ ნახავთ»; უნდა იყოს: «ერთ კაცსაც ვერ ნახავთ».

---

## მღვდელი სპირიდონ ჯუღელი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი კითხვის განმარტება მღვდელთა საყურადღებოდ.

«ჩამწვს და შემონაწირს სამთელს სამღვდელოებამ რა უყოს? სად გაყიდოს? და ან მათგან აღებული ფული სამღვდელოებამ რაშიდ მოიხმაროს?»...

ხშირად მოგვდის ხოლმე ჩვენ ამისთანა უბრალო კითხვები, მაგრამ არ ვბეჭდავთ მათ, მხოლოდ წერილით აუხსნით ხოლმე მთხოვნელებს. ამ უბრალო კითხვას ვბეჭდავთ ჩვენ მამა სპირიდონ ჯუღელის თხოვნით, რომელიც თხოვილობს, რომ უთუოდ დავბეჭდოთ ის «მწყემსში». ამ საგნის შესახებ ორ გზის იყო ცირკულიარული მიწერილობა გამოცხადებული და გვიკვირს, რომ მამა სპირიდონ ჯუღელამდის არ მიუღწევია ამ ცნობას. ცირკულიარულ მიწერილობაში იყო გამოცხადებული, რომ ნამწვი სანთელი სანთლის საეკკლესიო დუქანში გაეყიდნათ, ანუ სადმე სანთლის ქარხანაში. თუ დღეს სანთლის დუქანში არ იღებენ და ქარხანაშიაც ვერ მოუხერხებიათ გაყიდვა, მაშინ ადვილად შეიძლება ნამწვი სანთლის გადადნობა და გაყიდვა ქალაქებში და დაბებში ორგოთ. ნამწვი სანთელი არის ეკკლესიის და ეკკლესიის შესავალ წიგნში უნდა ჩაიწეროს და მოიხმარდეს მას, როგორც კანონი ბრძანებს. ამის გაგებას, ვგონებ, დიდი სიბრძნე არ უნდა.

---

საჭირო ცნობა მღვდელთათვის კვირიაკეთა, ხმათა და საცისკრო სახარებათა შეტყობაზე. ამ წელში არის:

| თთვე | რიცხვი | ყოვ. წმიდ. კვირიაკე | ხმა | სახარება |
|---|---|---|---|---|
| ნოემბრის | ა | კე | ჱ | გ |
| — | ჱ | კვ | ა | დ |
| — | იე | კზ | ბ | ე |
| — | კბ | კჱ | გ | ვ |
| — | კთ | კთ | დ | ზ |
| დეკემბრის | ვ | ლ | ე | ჱ |
| — | იგ | ლა | ვ | თ |
| — | კ | ლბ | ზ | ი |

# განცხადება.

## მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

# „მწყემს“-ზედ

### და „მწყემსი“-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოვა თვეში სამჯერ, თორთმეტი გვერდი და ხანდისხან თექვსმეტიც.

რუსული დამატება „მწყემსი“-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა თვეში ორჯერ, ორ ფურცლამდე თითო ნომერი.

„მწყემსი“ მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**სამი მანეთი.**

„მწყემსი“-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырь).** ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

---

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: სასულიერო მთავრობის განკარგულებანი.—არა ოფიც. ნაწილი: პირველი კრება ღვთის-მშობლის სახელობაზედ დაარსებული ძმობისა.—თფილისიდამ.—სად არიან სვანეთის ეკკლესიების ძვირფასი სამკაულნი.—წერილი რედაქტორთან.—რომელ ქართულ გაზეთში უნდა დაიბეჭდოს სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებანი.—შარაბიძის წერილის გამო.—საისტორიო მასალები.—მაჰმად-ისლამის დამაარსებელი.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—მღვდელთა საყურადღებოდ.—განცხადებანი.

---

*Доз. цензурою Кутаисъ, 14 Ноября 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფელმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.